კონკურსის „ასწავლე ფინანსები ლიტერატურით“ ფარგლებში ჩატარებული აქტივობის წარდგენის ფორმა

ფინედუ

სსიპ ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფ.ახალსოფლის #2 საჯარო სკოლა

ინფორმაცია ჩატარებული ღონისძიების შესახებ	
სეგმენტი	**მოსწავლეები**
კლას(ებ)ი, რომელშიც ჩატარდა აღნიშნული ღონისძიება	XI კლასი.
მხატვრული ნაწარმოები (დასახელება, ავტორი), რომელიც განიხილეთ მოსწავლეებთან ერთად	ილია ჭავჭავაძის ,,ოთარაანთ ქვრივი“
ფინანსური განათლების თემები, რომლებიც განიხილეთ აქტივობის ჭრილში *(მაგალითად, დაზოგვა, ბიუჯეტირება, დაზღვევა. თემებზე დეტალური ინფორმაციისთვის ეწვიეთ ფინედუს ვებგვერდს)*	• დაზოგვა; • პირადი ფინანსების მართვა (საჭიროება და სურვილი, პრიორიტეტების დალაგება შესაძლებლობების მიხედვით), • ქველმოქმედება;
სწავლების მეთოდ(ებ)ი, რომელიც გამოიყენეთ ლიტერატურის განხილვისას. ახსენით რატომ შეარჩიეთ ეს მეთოდები *(მაგალითად, კეთებითი სწავლება, შემთხვევების განხილვა, დისკუსია, როლური თამაში და სხვა)*	• პირველი მეთოდი, რომელიც შევარჩიე, იყო jigsaw-ის მეთოდი .ამ მეთოდის გამოყენებით მივეცი მოსწავლეებს საშუალება, დაკვირვეოდნენ ფინანსურ საკითებს მოთხრობაში და განეხილათ ჯგუფში. • შემდეგი მეთოდი იყო დისკუსია,რომელიც დამეხმარა საბოლოო მეთოდამდე მივსულიყავით. • როლური თამაში,რომლითააც შევაჯამეთ ფინანსური საკითხები მოთხრობაში,რადგან უაღრესად დიდია როლური თამაშის ღირებულება, მისი მნიშვნელობა სოციალური ქცევის ფორმირებაში, თვითდამტკიცებაში, ურთიერთობის პროცესში, ადამიანის ქცევის პროგნოზირების უნარის განვითარებაში.

კონკურსის „ასწავლე ფინანსები ლიტერატურით“ ფარგლებში ჩატარებული აქტივობის წარდგენის ფორმა

აქტივობის აღწერა *(აღწერეთ სრული შეხვედრის მეთოდური ნაწილი: როგორ წარიმართა შეხვედრა, რა სტრუქტურით და თანმიმდევრობით განიხილეთ მხატვრული ნაწარმოები, რა მეთოდები გამოიყენეთ და როგორ დაუკავშირეთ ფინანსურ განათლებას. მიუთითეთ ჩატარებული აქტივობის ხანგრძლივობა)*	• როგორც ზემოთ აღვნიშნე, პირველი მეთოდი, რომელიც შევარჩიე, იყო jigsaw-ის მეთოდი .ამ მეთოდის გამოყენებით მივეცი მოსწავლეებს საშუალება, დაკვირვებოდნენ ფინანსურ საკითხებს მოთხრობაში და განეხილათ ჯგუფში.შევქმენი სამი ჯგუფი: პირველ ჯგუფს მივეცი თემა ,,ოთრანთ ქვრივის შრომისმოყვარეობა“,მეორე ჯგუფს-,,ოთარაანთ ქვრივის ქველმოქმედება „და მესამე ჯგუფს-,,ხუთი ქისა’.ამ მეთოდის საშუალებით გამოვიტანათ მთავარი პრობლემები ფინანსური კუთხით მოთხრობაში დ გავუზიარეთ ერთმანეთს. • შემდეგ გაკვეთილზე გავმართეთ დისკუსია.ჯგუფებისგან გაზიარებული საკითხების მიხედვით ვისმჯელეთ მთელ კლასში და გადავწყვიტეთ შემდეგი ეტაპი ყოფილიყო როლური თამაში სახელწოდებით ,,ქვრივის ეკონომიკა“. • როლური თამაში -,,ქვრივის ეკონონიკა“წარმოვადგინეთ პრესკონფერენციის სახით.მთავარ როლში ოოთარაანთ ქვრივია,რომელიც ჟურნალისტებს და დამსწრე საზოგადოებას უზიარებს საკუთარ გამოცდილებას ფინანსების დააზოგვასთან,ქველმოქედებასა და პირადი ფინანსების მართვასთან დაკავშირებით .ეს მეთოდი ჟურნალისტებისა და ქვრივის კითხვა-პასუხის რეჟიმში მიმდინრეობდა.მთლიანი პროცესი სამი გაკვეთილის განმავლობაში მიმდინარეობდა.
შედეგი / მიგნება, რომელიც დადგა / გამოიკვეთა აღნიშნული აქტივობის განხორციელების შემდეგ *(მიუთითეთ, როგორ გაზომეთ აღნიშნული შედეგი)*	ქვრივის პრესკონფერნციიდან გამომდინარე დავასკვენით,რომ ქმრისგან დარჩენილი ქონების შენარჩუნება და ,,სარჩო-საბადებელის“მიმატება მთავარი თვისების წყალობით მოახერხება ოთარაანთ ქვრიმა,რომელსაც შრომისმოყვარეობა ჰქვია.სწორედ ამ თვისებამ დიდწილად, განსაზღვრა კიდეც მიისიი ეკონომიკური პორტრეტის ფერთა პალიტრა. ვიცით,რომ შრომის განაწილება ყველაზე მნიშვნელოვანი მომენტია ეკონომიკურ აზროვნებაში. მაგრამ, ჩვენ დავასკვენით,ვინაიდან ქვრივს არ ჰყავს ხალხი, რომელსაც დაასაქმებს, ამიტომაც თავადვე ასრულებს ყველა სამუშაოს. შევთანხმდით,რომ ეს არ არის სწორი მეურნეობა, მაგრამ მას სხვა საშუალება არ აქვს. თუმცა, ამასაც მივაგენით,რომ მას იმდენად უყვარს საქმე, საშუალება რომც ჰქონდეს, საეჭვოა, მეურნეობის გაძღოლის უფლება სხვისთვის დაეთმო. ხუთი ქისიდან გამომდინარე დავაკვენიტ რომ ქვრივი თავის შრომას არ ანაწილებს,არამედ სტიქიურად ხვდება , რომ შრომის რესურსი მაინც უნდა განაწილდეს.ხუთ ქისა ამ პერსონაჟის ეკონომიკური პორტრეტის ერთ-ერთი მთავარი შტრიხია.რომელიმეს თუ დააკლდა, სხვა ქისიდან არ ამატებს. მისი აზრით, ინვესტიცია ყველა მიმართულებით, სწორად უნდა დაიგეგმოს! და ბოლო მიგნება იყო ის ,რომ ოთარაანთ ქვრივის ეკონომიკა თანამედროვე ეკონომიკასთან ახლოსაც არაა.ეს კი იმიტომ,რომ იგი არ იცნობს ორ მთავარ კომპონენტს – ბანკსა და კრედიტს.

	შესაბამისად, ის მხოლოდ საკუთარი ფინანსების ამარაა, ამიტომაც სერიოზულ მეურნეობას ვერასდროს განავითარებს.თუმცა,არც ის გვავიწყდება , რომ მას ოთარაანთ ქვრივს ეძახიან და ქართული ლიტერატურის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ეკონომიკური პროფილის მქონე პერსონაჟია. ეს შედეგი ჯგუფური მუშაობისა და პრესკონფერენციის საფუძველზე გამოვიტანეთ,სადაც მოვისმინეთ ჟურნალისტების კითხვები და ოთარაანთ ქვრივის პასუხები ტექსტიდან გამომდინარე.პრესკონფერენციას ესწრებოდნენ ასევე ე.წ.ექსპერტები ფინანსურ საკითხებში ,რომლებიც დასკვნების გამოტანაში დაგვეხმარნენ.